

1947

№ 8. 1947 წ.
გამოცემის წელი XXIV.
წასი 2 მან.

ნიანგი

თბილისი.
გამომცემლობა
„კომუნისტი“.



ნახ. ი. ბეჟუშვილისა

ეს დროშა წინ მიგვიძღოდა, მტერი რომ გავატიალეთ,
დღეს შრომის დიდ ფრონტზედაც ამაყად თავს დავგფრიალებს.
მოვდივართ, ირგვლივ სიცოცხლის უკვდავ სიმღერას მღერაან
და სხივი სიხარულისა ზედ გულზე გადაგვფენია.

შორს, იქ კი, სადაც გრძელდება კვლავ კაპიტალის თარეში,
მაისის შემობრძანებას ხვდებიან სიმწუხარეში.
მილიონ უმუშევართა რისხვით აღსავსე ხმა ისმის
და ომის გამჩალებელთა წაღეკვას ლაშობს მაისი.

ეს ამბავი მოხდა 1945 წლის პირველ მაისს. ჩვენი ჯარები მტრის ბუნების უკანასკნელ ხვრელებს ანგრევდნენ.

სასიკვდილოდ განწირულმა მტერმა ბერლინში გააფთრებული წინააღმდეგობა გაგვიწია. ბრძოლები ქუჩებში სწარმოებდა. ფართლის მალაზიის გვერდით, ბარიკადებთან წაპოვოლილები ვიყავით მე, ჩემი მეგობარი არკადი გუდენკო და რამდენიმე ჯარისკაცი. მეზობელები თოფისწამლის კვამლისაგან ამ ქალაქის შენობებივით იყვნენ გაზავებული. ყოველ მტკაველ მიწას მომქანცველი ბრძოლით ვიღებდით. გააფთრებული ცეცხლი რომ მიწყნარდა და მტრის ერთი ხვრელი ამოვგმანეთ, მეთაურის ახალი განკარგულების მოლოდინში არკადიმ სიტყვა ჩამომიგდო:

— რას იტყვი, მზის ქვეყნელო, ასე არ ვიცოდით პირველი მაისის ჩატარება... ჰა, რას იტყვი?

— რაზე მეუბნები?

— ახლა მოსკოვში, ჩემს ქალაქში, ალბათ ბრწყინვალე დემონსტრაციაა. ტანკები გრუხუნებენ, ხალხი ქუჩებში მოძრაობს.

— ტანკები აქაც გრუხუნებენ, მერე როგორ!.. ხალხის მოძრაობის შედარება კი აქაურთან, აბა, რა მოსატანია!—მივუგე მე.

— იქ მაინც სხვაა. ხალხი მოდის, წითელი დროშები ფრიალებენ...

— გახედე, არკადი, წითელი დროშები აქაც ფრიალებენ.

— იქ მაინც სხვაა, ქართველო, რა შედარება! მოსკოვში, დემონსტრაციაზე რას არ ნახავ...

— მაგალითად?

— თუ გინდა ის, რომ პიონერებს მოაქვთ ფიტულისაგან გაკე-

თებული ბურჟუა, პოლიციელი, ვაჭარი და შენ იცნობ მათ და ნახვავზე, იცნობ იმიტომ, რომ ეს ტიპები ისტორიას ჩაბარდა.

— ეგ მხოლოდ წარსულის გახსენებაა.—ვეუბნები მე.

ამ დროს ფართლის მალაზიის ჩამტვრეული სარკმლიდან ხელყუმბარა გადმოვარდა, ჩვენს ახლოს დაეცა.

— აქ ვიღაც არის ჩასაფრებული! — ფრთხილად სიტყვა არკადიმ. ჩვენ და რამდენიმე ჯარისკაცმა იერიშით ავიღეთ მალაზია, რომელშიც დამალული აღმოჩნდა ფაშისტი პოლიციელი, ვიღაც მექარხნე, ამ მალაზიის პატრონი და ერთი „ღვთისმსახური“.

შეშინებულია ლაპარაკი კატის კნავის ჰგავდა და ჩვენმა მეთაურმა, რომელსაც გერმანული საკმაოდ ენერგებოდა, ნაგლეჯ-ნაგლეჯად ამოაქრანტალებინა ვინაობა.

ტყვეები მე და გუდენკოს გაგვტანეს.

ოთხი დამფრთხალი მელა ცხვირდაშვებული მიგვიძლოდა წინ.

— რას იტყვი, არკადი,—ვკითხე მე,—კიდევ ხარ გულნატკენი?

— რაზე ამბობ?

— შენ თქვი, რომ მოსკოვის დემონსტრაცია უფრო სხვანაირია. იქ მუშებს ბურჟუების, ვაჭრებისა და პოლიციელების ფიტულები მოაქვთო, აქ კი ჩვენ ფიტულები კი არა, ნამდვილი ბურჟუა, ვაჭარი და პოლიციელი მიგვყავს. კიდევ არის განსხვავება მოსკოვურ და აქაურ დემონსტრაციას შორის?

— არის, როგორ არა,—მომიგო არკადიმ,—იქ საბრძოლო ძლიერების დათვალაობა, აქ კი ნამდვილი, საბრძოლო დემონსტრაციაა, ჩვენი ძალების გამოცდა.—და მოსკოველმა ჯარისკაცმა სიცილ-კისკისი ტყვიამფრქვევის რიგითი გააგრძელა...

გ. ივანიშვილი

ანდაზის ახალი ვარიანტი

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფასების აწევის მიზნით წყალში გადაყარეს მილიონი ტონა კარტოფილი.

ნახ. ი. ბეჟაშვილისა



თემაზი—გულთბილადამიანებს, რომლებიც ხალხს არ აკმევენ და მე მცემენ პატივს, ათიათასჯერ ვეტყვი მადლობას, მაგრამ რა ვქნა, როცა პირი კარტოფილით მაქვს სავსე...

ამერიკელმა მაიორმა რანდოლფმა გამოაქვეყნა ანტი-საბჭოთა ხასიათის წერილი, რომელშიც მოჰყავს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის სხვადასხვა ვარიანტები და აცხადებს: ამერიკამ მარსისა და სხვა პლანეტების ოკუპაცია კი უნდა მოახდინოსო.

გაზეთებიდან

ნახ. მ. ოთაროვისა.



თუმცა დოლართა სიმადლე ცათამბჯენებს ამეტებს, მაგრამ მაინც ეს ძია ვერ შესწვდება პლანეტებს.

კვლავ შემობრწყინდა მაისი

კვლავ შემობრწყინდა მაისი, მზის სხივი გადმოგვაშალა, აგვინთო, აგვიცისკროვნა მომავლის დიდი გზაშარა. „ვარდთა და ნესვთა ვინადგან მზე სწორად მოეფინება“, მნათობმა გადმონათება ყველგან თანაბრად იწება. მაგრამ ამ დილით ნათელი ოქრო სხივები მზისანი, ზოგს გულზე შუქად დაადგა, ზოგს მოხვდა, როგორც ისარი. ეს ნიაგური ქარავმა ყველასთვის მისახვედრია, შიში მაისურ სიანლის კაპიტალიზმის ზეგდრია. ჩვენში ლურჯოვალა ჯეჯილით რომ აიჭირენ ველები, მაისის მოსვლას დავუხვედით წინსვლით და ბედნიერებით. მაგრამ აქა-იქ კვლავ არის ნაცარქექია, მკვებარა, ცა ქუდად არ მიაჩნია, ქალამნად მთელი ქვეყანა. მხარეთმცის წამოწოლილა, უქმად უწყვია მხარმკლავი, სულ მალე დოვლათდაყრილი ყანა იქნება სამკალი, მაგრამ თავი რად იტკინოს, ფიქრობს: ჯერ მარგვლის უამია, „აჩქარებთა სოფელი არავის მოუჭამია“.

კვლავ შემობრწყინდა მაისი, მზის სხივი გადმოგვაყარა, ბუნების მკვდრეთით აღდგომა და განახლება გვახარა. გმირები, ჩვენი გმირები, მტერს რომ უტევდნენ ვეფხვურად, ლეიბად მიწა რომ ეგოთ და თოვლი სახნად ესურათ, სამშობლოსათვის მრისხანე ბრძოლებში გამოცდილები, ახლა მინდვრებზე გამხდარან დიდი მოსავლის გმირები, ისინი მიუძღვებიან სამგორში ახალ გაზაფხულს, ჯეჯილის ღელვით აცხებენ ყამირებს, შავად გადანულს. და საქმეები კი არა, მათ ხელში მთაც კი იღევა, პირველნი ეგებებიან სიცოცხლის აყვავილებას. მზისა და ვარდის იერიით კვლავ შემობრწყინდა მაისი, ირგვლივ სიცოცხლის სიმღერა და დღეგრძელობა გაისმის, ვინც მშობელ მამულს აღირსა გამარჯვების დღე კაშკაშა, ვინც ვით ბრძოლაში, შრომაშიც კვლავ უფრო დაგვაფაჩავა.

კახი

შემოდგომით შიშმა დაჭფარა სინანული... ვიდრე დაზომავდნენ და გა-მოირკვეოდა რამდენი ჰქონდა მოტაცებული კოლმეურნეობის მამულიდან, ვიდრე საერთო კრება დაადგენდა ჩამოჭრას, მერე რაი აღმასკომის პრეზიდიუმი დაამტ-კიცებდა, მან მოსავლის აღება მოასწრო, ტყრუშულიც შემოარღვია ვენახის ნა-წილს, რომელიც კოლმეურნეობის ფართობს ესაზღვრებოდა. ამასობაში თოვლიც ჩამოჰყარა. მოსავალი მოსავლად შეიტანა, მამულსაც ხომ შინ არ შეიტანდა?! ვითომც არ ჩამოუტემევიათ!.. მართალია, ჩამოართვეს, საყვედური უთხრეს, კოლმეურნეობის საერთო კრებამ შეაჩვენა, უნდა გაერიცხათ კიდეც, დიახ, უნდა გაერიცხათ საგლ-დებულო მინიმუმის გამოუშუშავებლობისათვის (იცოცხლეთ, შეძრწუნდა), მაგრამ ზოგი სიბრაღულით, ზოგი ექიმის ათასგვარი ცნობების წყალობით (თუ ოდესღაც ხე-ლი ელრძო, თუ ოდესღაც ძირმაგარები ჰქონდა) შეიწყნარეს, უკანასკნელად შეიწყნა-რეს. მაგრამ ეს ძრწოლა, ეს შიში დიდი ზამთრის ღამეებმა შეიხვია და საბურხლებს აცდენილი ნაპერწკლებით გააქრო. გული ჩადგა საგულესა.

გამოზაფხულდა.

ჰო-და, აი ახლა მომძლავრდა სინანული, სურვილი—ისევე მას ეკუთვნოდეს ჩამოჭრილი ვენახი. ამისთვის სოფლის თავაკებრის გულის მოგება მაინც იყო სა-ჭირო... კოლმეურნეობის სამუშაოს აღარ აკლდება, თვალში ტრიალებს, საამო სიტყვას აწევს. სხვის გულს თუ ეგრე იოლად ვერ მოიგებს, რა ბედენაა, თვითონ ხომ იმატებს სითამამეს...და, სწორედ, როცა ფარცხვიდან ბრუნდება, კალთა ჯერაც არ ჩაუბერტყია, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გადაეყრება. არ მოეშვება, კალ-თებს გამოაჭამს, ბაღში შეიყვანს, ვითომ ახალი ნამყენების საჩვენებლად. იქიდან ეზოში მოხედებიან... სათონიდან პურის ამოკვრის ხმა ისმის. აბა, ცხელი პურის გაუტეხელად ხომ არ გაუშვებს?! თონესთან ჩამოსხდებიან. ახლად გამომცხვარი პურის სუნი ტრიალებს ირგვლივ. ხოწნა ჩაუბერტყიათ, ფეკილის ალი უფლის თონეს... თონესთან მოკეცილი, თეთრი თავსაფარით ტუჩპირაკრული დედაკაცი ყუაბრაწულ პურს ამოაგდებს თონიდან... ხელადაც გაჩნდება.

— იმ ვენახისაა!.. (თავმჯდომარე იფიქრებს, ჩამოართმულს თუ გულისხმობ-სო) ნახე როგორია!.. ნწ, ჰეჰეი!.. მერე როგორ ვუფელიდი!.. ახლა ჯერ ბარიც არ შეუტანიათ!..

— რატომ არ მოუვლიდი, საერთო საქმეს არ გაჰკარებინარ!..

— თავი მომიკდეს, თავი, თუ ავადმყოფობის ბრალი არა ყოფილიყვეს!..

დამცა, მომერია!.. აბა, ახლა თუ ვალატობ საერთო საქმესა!..

— ახლა ვერც დაგემღერებოთ!.. თუ ასე განაგრძობ... აქ სული ისწრაფებს, აღარ დააცლის:

— ვენახს დამიბრუნებო!.. იუჰ, შენი ჰირიმე!.. შევალ, რაც იქნება, იქნება!.. შენ სუ!.. სხვა რალა ხმას ამოიღებს!..—მყის ქალს მიუბრუნდება.—დედაკაცო, ცარიელ პურ-ღვინოზე ხომ არ გადაგვატარებ, ერბო-კვერცხი მაინც ჩაგედგა სა-ხელდახელოდ!..

თავმჯდომარე ირიბად იღიმის... ქალი ერბოს და გათქვეფილ კვერცხებს ტა-ფით ჩადგამს თონესი... მალე შეიწყნარა... მალე სავეს ტაფას თავმჯდომარეს მისთა-ვახებს, თვალს არ აშორებს, შესცქნავს, ეგებ რამე წამოსცდეს, ეგებ საიმედო რამ შეუქმა გაიციალოს თვალზეში.

— მე რა შემძლიან?!..—იტყვის თავმჯდომარე.

— ჰეჰეი, შე დალოცვილო, ამ სოფელში შენი კითხულია ყველაფერი!.. აი, შენ რო წინააღმდეგ არ წახვიდოდე!..

— მე რატ ვიქნები წინააღმდეგი, თუ...

— აი, აი, შენი ჰირიმე!.. დედაკაცო, ერბო-კვერცხზე ხომ არ გადაგვატარებ, ბარემ ერთი ვარიაც ჩაგვიხრავე მე თონესი!.. მაშ წინააღმდეგი არ იქნები?!..

— რა თქმა უნდა, თუ...

სათონის კარი ღიაა. თვალს მოჰკრავს: რაიონიდან მომავრებული მიწათმო-წყობი, თავმჯდომარის მოადგილე და ორი ბრიგადირი ჩაივლიან შუკაში. გაე-დევნება, არ მოეშვება, სათონეში შეუძღვება. კაი სიტყვა დაცდებათ, ბარემ მა-რანში, ქვევრის თავზე გაიყვანს. ჩახრაკული ვარიაც იქ გააქვს.

— მაშ, არც თქვენ იქნებით წინააღმდეგი?!.

წაფიას აწოდებს...

— ჩვენ რა, თუ...—იმეორებენ სათითაოდ.

— აი, თქვენი ჰირიმე, აი ხალხი.. რა გენა ახლა?..

თავმჯდომარე არიგებს.

— სასოფლო საბჭოს აღმასკომში შეიტანე განცხადება, თუ გიშუამდგომ-ლებს, შუამდგომლობა და ხელახალი განცხადება ერთი რაისასოფლო განყოფი-ლებას მიეცი, მეორე რაისაბჭოს აღმასკომს, თუ ისინიც შუამდგომლობას აღძრა-ვენ, მიმართე კოლმეურნეობის საერთო კრებას, თუ კრება თანახმა იქნება, მე რა მაქვს საწინააღმდეგო?!.

— არც ჩვენი!..—იმეორებენ სათითაოდ.

— თქვენი ჰირიმეთ, თქვენი!..—დაიძახებს და მარნიდან ყველანი ოთახში აპყავს.

ჩახრაკულს ჩახოხბილი მოსდევს, მერე შემწვარი გოჭიც... სულ ზევ-ზევით იწევს: გზიდან—ეზოში, ეზოდან—სათონეში, სათონედან—მარანში, მარნიდან—ოთახში, და ცათამბჯენი რომ ედგას, მეცხრე სართულამდის მაინც აიყვანს სტუმ-რებს.

გაზაფხულის ლაზათიანი ღამე შემოჰფენია სოფელს.

სუფრა შეიღობს ღამეს...

...ნამძინარევი წამოიწევს, ეჭვად გაახსენდება წუხანდელი იმედი: „თუ სასოფ-ლო საბჭოს აღმასკომი გიშუამდგომლებს... თუ რაისასოფლო განყოფილება გი-შუამდგომლებს... თუ კოლმეურნეობის კრება იყაბულებს... თუ... თუ... თუ...“ ვინ გიშუამდგომლებს, ვინ იყაბულებს?! და ახლა კანთიელად წარმოუდგება კოლ-მეურნეობის საერთო კრება. პარტიურის მდივანი გულმოსული მუშტს აბრაგუ-ნებს მაგიდაზე და გაიძახის: „კოლმეურნეობაში შებარული... მიმთვისებელი... წამგლეჯი... ელემენტები...“ და ვიდრე თავმჯდომარე წინადადებას შეიტანდეს: „გაი-რიცხოს!..“ გამოფხიზლდება, შიშით გულში გაივლებს: „ჰეჰეი, ჩემო თავო, თუ არ გაგრიცხეს, ისიც დიდ ბედნიერებად ჩასთვალე, იმარე, თუ...“ თუმცა ადრეა, ძალიან ადრე, საერთო საქმეს მიაშურებს...

„სინათლე“ გალუფს — და სინამდვილემ


გაგონებული
ზიზღირობები




1



2



3



„თელასის“ უძღვურების გამო ომის დროს თბილისელ მოქალაქეთა ნაწილი ელექტროენერგიის (მონტიორთა) ხელში იყო ჩავარდნილი. და როგორც ბალეტ „სინათლეს“ ზოგიერთ სურათში (ნახ. 1), თბილისის ზოგიერთ ქუჩაშიც დაუსჯელად პარაშუტისტები ეშვებოდნენ (მონტიორები). მაგრამ სინათლით ხელში აღიშვართა მშვენიერი ჰაბუკი (ნახ. 2), ბალეტში — ბატონი-შვილად წოდებული, ხოლო ხუთწლიან გეგმაში ხრამჭესად ცნობილი.

და დათრგუნა სინათლით ჰაბუკმა ჰაბუკიანმა გაუმადლარი ვეშაბი (ნახ. 3), ხოლო თბილისის ზოგიერთ ქუჩაში გამეფებული წყვილი ჯერ მხოლოდ კრთის მგებულებს ხრამჭესის მოახლოებისაგან და ელის საზღვარს დათრგუნვას — თბილისის ციდან გაქრობას (ნახ. 3).

მეტად ღირსეული იდეის ფონზე მოგვდის
კინო-თეატრის დიდ დარბაზში. პაპროსის კვამლში
ძლივსა ჩანდა კარებთან აყუდებული კონტროლიორი.

— რა კინოა დღეს? — შემოჰყო თავი გოგონამ და
უმალვე ცხვირი მაღლა ასწია.

— ცირკია, ბიძა! — უპასუხა ადმინისტრატორმა.

— პირველი სენასი ალბათ მალე დამთავრდება!

— ჯერ არც დაწყებულია...

— რატომ? — გაოცდა გოგონა.

— ბიჭო, აუხსენი ყველას! ჯერ ახლა მოვედით...
მაცა, შე ქალო...

— მაშ არ დაწყებულია? რა კარგია! სწორედ ბედ-
ზე მოვედით. — სთქვა ქალღმერთმა და კინო-დარბაზში
შემოვიდა. საათს დახედა, შეიძინა ნახევარი იყო.

— დავაგვიანეთ? — რა ვუყოთ, ოცდაათი წუთი
ანგარიშში არ არის ჩასაგდება. — ღიმილით აუხსნა
ადმინისტრატორმა მაყურებლებს. კიდევ გავიდა
„ანგარიშში არ ჩასაგდება“ წუთები და, როგორც
იქნა, ჩაქრა სინათლე.

პირველი შუქი მოეფინა ეკრანს. ერთი წუთით
ღუმითი ჩამოვარდა. დავაჰყიტე თვალები, მაგრამ
მანც ცერაფერი დავინახე. ეკრანზე მკრთალი მთვა-
რის შუქით ციაგობდნენ ელექტროსხივები.

— ვერ ვხედავ. შენი ჰირიმე! — სთქვა ვიღაცამ
ჩემს გვერდით, ფეხზე წამოდგა და უკანა რიგებზე
მსხდომთ წინ აეყუდა.

ეკრანზე რაღაც ჩრდილები ამოძრავდნენ, მაგრამ
სუსტი, გაურჩეველი ჩრდილები და არა სურათი.

— იქნებ არც დაწყებულია? — გავიფიქრე მე, მაგ-
რამ უმალვე წარმოვიდგინე, რომ უცბად მხედველო-
ბა დამკლბოდა.

ბოლოს, ბოლოს მკრთალად გამოჩნდა წარწერა:
„ცირკია“, ერთი წუთის შემდეგ დარბაზში ატყდა
ყვირილი, სტვენა, აუტყაურბი.

— მე ხ... ხ... აშენ... ე... — გაჰყავს ერთი.

— სიჩუმე... ე... — ყვირის მეორე.

— მართლაც ცირკია აქ! — გაიმეორა ჩემს გვერ-
დით მოქალაქემ, წამოდგა და დააბირა გარეთ გახვლა.
მას მიჰყვა მეორე, მესამე.

მეც, როგორც იქნა, გარეთ გამოვედი: კვლავ
ხმაურობდა კინო-დარბაზი. იქვე, საზაფხულო პავი-
ლიონში, სადაც გასულ წელს კინოპარკი იდგა,
რაღაც ხმაური და სიცილე-ხარხარი შემომესმა:

— რას იღრიჯებო ბიძა, მანდ! — უთხრა ადელ-
ვებულმა მოქალაქემ.

— ვერ შეხედეთ „ცირკს“, არა? მაშ როგორ
გეგონათ... ბე... ხე... — ჰიზვიანობდა ტანბრგე ვაჟკაცი.

— რა იყო, რა მოხდა? — ვიკითხე გაოცებულმა.

— არაფერი, დენი სუსტია და ეკრანს არ ყოფ-
ნის.

— მიზეზი?


— მიზეზი სულ პატარაა: კინოს ხაზი ჩემი წის-
ქვილის ხაზთანაა შეერთებული და ხანამ თქვენს ეკ-
რანს გაანათებდეს — ჩემი წისქვილის ქვას აბრუნებს.

— მერე და რას გვარგია ეგ წისქვილი?

— თქვენ თუ არ გარგიათ — მე მარგია... და კი-
დეც სხვებს. — დასძინა მან და ღილიწე გადავიდა.
ჩვენ იძულებული გავხდით მიგვეტოვებინა ბუნდო-
ვანი სურათის ნახვა და გზაში სულ ერთი აზრი მი-
ტრიალებდა:

— მაინც რატომ უნდა იყოს წისქვილის ხაზი
შეერთებული კინოსთან?

ა.პ. გოცირიძე



— რატომ შესწავიტეთ ჩემთან კბილის
მკურნალობა?

— აღარ მტკივა, ექიმო.

— მთლიანად მოგიჩინათ?

— დიან, მთლიანად ამოვადებინე.

მ ე დ ა ს ტ ა ნ დ ა რ ტ ი

ჩვენი ტრესტის „ადგილობრივი“
შემახვედრეს ორდერი,
მით აშკარად მომანიჭეს
სიხარული ორჯერ! —

თან დასძინეს: — შენა გცანით
კოსტუმის ღირსადო,
ახლავ წადი შესაძენად,
ბევრი აღარ იცადო,

თორემ სხვები აარჩევენ
უკეთესად შენაკერს,
ანდა ზომას ვერ მიუხსრებ —
შენი ტანის შესაფერს.

დავფაცურდი, მივაშურე
„თბილვაჭრობის“ დასურულს,
და ორდერი გავუწოდე
ნოქარს თვალმდამსწერულს.

— ვისთვის გინდა? — მკითხა ცივად
(სჩანდა ცნობისმოყვარე).
— ჩემთვის მეთქი, — შევღიმილი, —
მის წინ ქედი მოვხარე.

ამ პასუხმა მისი სახე
ცბიერ ღიმილს დაცარა
და უსიტყვოდ დახლზე დადო
მან კოსტუმი ნაცარა.

მაგრამ დახეთ ჩემს ხასიათს —
მე ის არ მეკოსტუმა:
ცალ სახელს დავაკვირდი —
სჩანდა სპილოს ხორთუმა,

მეორე კი — სტვირის მსგავსად
მოხრილიყო იდაყვთან,
თვით ბიჯაკი ტიკტორს ჰგავდა,
„ვიწრო ვარო“ — იძახდა.

შარვლის ტოტი მეორე ტოტს
გაჰბუტვოდა მგონია —
ერთი ღილიშუტსა ჰგავდა,
მეორე კი — გოლიათს.

ღილებიც კი, თვით ღილები
აქეთ-იქით ბეჭიდან,
ჩამოსავარდნ ცრემლებით
თითო ძაფზე ეკიდა

აქეთ — დამლა, იქით — დამლა,
ამსახველი ხარისხის,
ფაბრიკაში მონაწილე
და აქ გადმონარცბი,

იღო დახლზე ის ნაცარა
და მე შემომიკეცროდა.
(მოარგებდა ვისმეს? მგონი,
თვით კოსტუმს არ სჯეროდა!).

თავაზით და მოწიწებით
მე გამჟღავნებ შევკადრე:
— ეს ხომ ჩემთვის არ ივარგებს,
ტოტ-სახელს მეტადრე!

მან ჩემს ალაღ არგუმენტებს
ალმაცერად დახედა,
ერთი კიდევ ჩაიცინა
და მომიგო მკაცრად:

— დალოცვილო, კოსტად გინდა
შეკერილი ჩაიცვა —
ორდერით კი ეძებ კოსტუმს?
(კვლავ სიცილით ჩაიწვა).

სტანდარტთან გაქვს საქმე, განა
საშა მკერვალთანა ხარ,
რომ მოსარგო გამოგიჭიან
ფასონების თანახმად?

— კი, მაგრამ ამ შარვლის ტოტებს
რატომ ჰკერვდნენ ცალკელებს?
— ზოდა, საქმეც მაგაშია,
მაცადე, გენაცვალე.

ჩვენ ამნაირ წვრილმანების
უცოდნელობა როდი ვართ:
სტანდარტული ზომის თუ ხარ,
ტანზე სწორად მოგვიცა,

მაგრამ რადგან შენ არა გსურს
შეფარდო სტანდარტებს,
გამოსავალს სხვას გასწავლი —
მაგისტვის რა გადარდებს?

კერძო მკერვალს (არტელშია)
მიეც ხაჟუკნავი და,
ის დაარღვევს, ისევე დესტრის,
და შეჰკერავს თავიდან,
და შარვალს რომ ორივე ტოტი
ერთი ზომისა ჰქონდეს —
მოკლეს — დასაგრძელებელზე
ის ხომ უნდა დალოდეს?

ეს რომ მითხრა, შემინვია
ის „ნაცარა“ და მეცა,
ჩივდა რაკი მომეწონა,
პასუხი რათ გამეცა?

წამოვიღე და არტელშიც
ბევრი არ მაცდევინეს,
იმ კოსტუმის საღირალი
ხუთმაგად მაწლებინეს!

—

მორალს იტყვი: თუ არა გსურს
სტანდარტში ჩაეთი, —
იაფიც კი დაგიჯდება
მუდამ ძვირზე მეთიო!

ზაქარაძე



ძვირფასო ნიანგო!

ამ ბარათსა გწერთ „საქნავთის“ მირზაანის სარეწაოების მუშათა საერთო საცხოვრებელიდან. თქვენ უსათუოდ გეცოდინებათ, რომ ჩვენ ბეჯითად ვმუშაობთ ნავთის მოპოვებისათვის, ისიც გეცოდინებათ (უსათუოდ), რომ ნავთით ოთახის განათება შეიძლება. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოპოვებული ნავთით ათასების ბინა ნათდება, ჩვენს საერთო საცხოვრებელში ისეთი სიბნელეა, გამოუცდელი კაცი თვალში თითქმის იტყუებს. ღამე, როცა სამუშაოდან ვბრუნდებით, ბნელ ბინაში გვიხდება შესვლა და ხშირია შემთხვევა, როცა ერთი-მეორეს ცისტერნებივით დაუნდობლად ვეჯახებით. „საქნავთის“ მირზაანის კომუნალური განყოფილება ფიქრობს, რომ ფეხსაცმლის მკერავმა უფესსაცმლოდ უნდა იაროს. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რატომ თვითონაც არ ბაძავს იმ ფეხშიშველ მეფეხსაცმელს?

გვიშველე რამე, ძვირფასო ნიანგო!

ახალგაზრდა მუშები

ძია ნიანგო!

კვანჭირის საშუალო სკოლის მოსწავლეებს ერთი სათხოვარი გვაქვს: საქმე ის არის, რომ მოსწავლეები ყოველდღე გვტუქსავენ იმის გამო, რომ სკოლაში მისვლისას ზოგს ცხვირი გვაქვს ტალახში ამოსვრილი, ზოგს ფეხი, ზოგს თავი და ასე შემდეგ. ანტისანიტარულ მდგომარეობაში ყოფნის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ სკოლაში მისასვლელი გზა ტალახითა და წუშპით არის დაფარული. ჩვენი საბჭოს მუშაკები სიცილით კედებიან, როცა ტალახში დასვრილ მოსწავლეებს დაინახავენ და სკოლის გამგეს ურჩევენ აბანო ააშენოს. ჩვენი აზრით, ძია ნიანგო, უკეთესი იქნება გზა შეკეთდეს ან საბჭოს მუშაკებს დაევალოს, რომ ჩვენსავით ყოველდღე იარონ სკოლაში. თქვენ რაღას იტყვით, ძია ნიანგო?

მოსწავლეები

ძმაო ნიანგო!

ქუთაისის რაიონში ბარიტის მალაროებს აქვს საკუთარი პურის საცხობი. პურის საცხობის შენობის სახურავი ჩამონგრეულია და შიგ წვიმა ისე ჩამოდის, გეგონება საბინაო სამმართველოს საცხოვრებელი სახლი იყოს.

საცხობის გამგეს გურგენიძეს ხშირად ემღერება, პურის თავის დროზე არ აცხობს, მაგრამ რა ქნას ამ უიღბლო დღეზე გაჩენილმა, ციმა იმდენი წვიმა დასდის, სამ დღეს უნდა იდოს გახურებულ ღუმელში, რომ როგორმე გამოშრეს. მოგვეხმარე, ძმაო ნიანგო, გვესტუმრე შენი ჩანგლით, სახურავი მართა პურის საცხობს არა აქვს დაზიანებული.

გულამაყრელი

პატივცემულო ნიანგო!

დუშეთის რაიონის სოფელ მლაშის კოლმეურნეობის ძროხები ამ ბოლო დროს ძალიან გაზარმაცდნენ. გეგმასაც აძლევენ, ხელსაც უწყობენ, მაგრამ ნორმის მესამედზე მეტს არ იწველიან.

ყველაზე საკვირველი ის არის, რომ ფერმაში მომუშავე მწველავებს, მიუხედავად ძროხების ასეთი ჩამორჩენილობისა, აჯილდოებენ და მოწვევით ყოველ 100 ლიტრ რძეზე 1.7—2 შრომადღის ნაცვლად, 3 შრომადღეს უწერენ.

ერთი გვანტერესებს, ამხანაგო ნიანგო, ჩვენს ფერმაში რომ რძის ნორმამ იკლო, ეს ძროხების ჩამორჩენის ბრალია თუ ზედმეტი შრომადღეების დამწერების მიერ ხალტურა-ჩამორჩენის მიზეზი?


შ. ზანათელი

ახალი მკითხავეები

სოფ. ფარცხანაყანევის ფოსტის თანამშრომლები ს. თევდორაძე და გ. ნიქაბაძე წერილებს ხსნიან და შემდეგ აღრესატების შესახებ კორაობენ.

სამწი

ნახ. დონისა




— როგორც ეს ყვავის ტუზი გვამცნობს, მთვარის მოქცევის მეორე კვირას ქეთო გაყვება ნიკოს, ხოლო ეპრაქსია სიბიტოს უარს ეტყვის...

ამაყი ხაღხი

სოფ. ახალსოფლის (ყვარლის რაიონი) საშუალო სკოლის ოთახების ჭერი დაზიანებულია. მე-9 კლასის ოთახის ჭერის კოჭები თოკებით არის დაბმული.

ახალსოფელი




ახალსოფელი მოსწავლეები იმდენად ამაყობენ სასოფლო საბჭოს მიღწევებით, რომ თავი ყველას მაღლა უჭირავს.




1. ფეხბურთის მოყვარულს



2. ლუდის გამყიდველს



3. პარკის დირექტორს



4. ელმონტიორს